

ՃԱՇԽԱՎԾԴՐ  
ԲԱՑԱԼՈՒՅՈ

XVIII

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

პ. პეტრიძის სახელობის ხელნაზღოთა ინსტიტუტი

Georgian-Hispanic Researches

ეძღვნება აკადემიკოს ელენე მეტრეველს  
დაბადების 80 წლისთავზე

# **მრავალთავი**

**ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი**

**XVIII**

**MRAVALTAVI**

**Philological-Historical Researches**

**XVIII**

**თბილისი 1999**

**Tbilisi 1999**



ქართველი  
რავალთავი

ფილოლოგიური და ისტორიული  
ძიებანი

XVIII

თბილისი 1999

სარედაქციო კოლეგია: ზ. ალექსიძე (მთავარი რედაქტორი),  
გ. გაბიძაშვილი, გ. ვან ესბროკი, უ.პ. მაკ, გ. მამაცაშვილი,  
გ. მეტრეველი, ბ. უტიქ, გ. ქავთარია, ც. ქურციკიძე, გ. შანიძე,  
გ. ცაგარეიშვილი, ლ. ხევსურიანი, გ. ხოშტარია-ბროეკ.

ტომის რედაქტორები: ც. ქურციკიძე  
გ. ცაგარეიშვილი

რეცენზენტები: ც. აბულაძე  
გ. დოლაკიძე

Editorial Board: *Z. Alexidze* (chief editor) *E. Gabidzashvili*,  
*M. Kavtaria*, *E. Khoshtaria-Brosset*, *Ts. Kurtsikidze*, *J.-P. Mahé*,  
*M. Mamatsashvili*, *H. Metreveli*, *B. Outtier*, *M. Shanidze*, *L. Khevsuriani*, *E. Tsagareishvili*, *M. Van Esbroeck*.

Editors of the volume: *Ts. Kurtsikidze*  
*E. Tsagareishvili*

Reviewers: *Ts. Abuladze*  
*M. Dolakidze*

ББК 81. 2 Гр  
УДК 091 (=9.463.1)  
გ 90

ISSN 1512-0619

ეპითოგა კოშლამაზაშვილი, ანა ლაგიაშვილი

ათანასე ალექსანდრიელის „სიმბოლო“

## პველი ძართული თარგმანი

„სიმბოლო“, ანუ მოკლე გადმოცემა მართალი სარწმუნოების დოგმატის უმთავრესი დებულებებისა, უძველესი დროიდან გამოიყენებოდა საექლესიო პრაქტიკაში, როგორც ნათლისლების წინ საჯაროდ წარმოსათქმელი აღ-სარება სარწმუნოებისა, გამოიქმა ქრისტიანული მრწამსისა.

ნიკა-კონსტანტინოპოლის კრებებამდე სარწმუნოების სიმბოლოს სხვადასხვაგვარი ფორმულირება იყო გავრცელებული მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. ცნობილია „იერუსალიმური სიმბოლო“, „ქესარიულ-პალესტინური სიმბოლო“, „ალექსანდრიული სიმბოლო“, „ანტიოქიური სიმბოლო“ და სხვ<sup>1</sup>. საკულტო ტრადიციით, თითოეულ მათგანს საფუძვლად დაედო მოციქულთა მოძღვრება, გადმოცემული „მოციქულთა სიმბოლოში“. ნიკა-კონსტანტინოპოლის სიმბოლო, როგორც საერთო-საკულტოს მრწამ-სის ფორმულა, ამ სიმბოლოთა შეჯერებით იქნა შემუშავებული<sup>2</sup>.

ცნობილია სხვა „სიმბოლოებიც“, შედგენილი ეკლესიის მოძღვართა მიერ (როგორც ნიკეა-კონსტანტინოპოლის კრებებამდე, ისე მის მომდევნო ხანაში) ქრისტიანული დოგმატის ამა თუ იმ იდეის ხაზგასასმელად.

ამათგან ქართულ ენაზე უთარგმნიათ გრიგოლ ნეოკესარიელის (+275), თეოდოროტე ქვირელის (+458), მიქაელ სვინკელოსის (IX ს.), ფოტი კონსტანტინოპოლელისა (+891) და სხვ. „სიმბოლოები“.<sup>3</sup> ამათ რიცხვები კუთვნის ათანასე აღექსანდრიელის (+373) სიმბოლო, რომელიც უდიდეს ქართველ ღმრთის მეტყველსა და მთარგმნელს გიორგი მთაწმიდელს გადმოუდია ქართულად<sup>4</sup>. ბერძნულ ენაზე ამ თხზულების ოთხი რედაქცია (ოთხი „ცორ-მულა“) არსებობს (PG t. 28, col. 1587-1592), დათინურად – ერთი.

ათანასეს სიმბოლოს ავთენტურობა XVII ს-მდე არავითარ ეჭვს არ იწვევდა. იგი, როგორც ავტორიტეტული დოგმატიკური ძეგლი, ფართოდ იყო გავრცელებული როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის კულტისაში.

<sup>1</sup>Σοφοκλέους Δ. Λώλη, Περὶ τὸ πρῶτον σύμβολον τῆς πίστεως, Ἀθῆναι, 1958.

<sup>2</sup>, Ιω. Καρμίρη, Τὰ Δογματικά καὶ Συμβολικά μνημεῖα τῆς Ὁρθοδόξου Καθολικῆς Εκκλησίας, Α, Ἀθῆναι, 1960.

<sup>3</sup> პ. მეტვლიძე, ძეგლი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980, 471; მისივე; უცხო ავტორები მეტვლი ქართული ლიტერატურაში; გრიუდები ძეგლი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V, 1957, გვ. 25, 58, 101, 114.

<sup>4</sup> პ. ქმნელიძე, ლიტ. ისტ., I, 225; მისივაჟ: უცხო აერორეგბი... გვ. 8.

პირველი, გინც ათანასეს ავტორობა საეჭვოდ მიიჩნია, იყო გ. ფოსი (1642 წ.)<sup>5</sup>, შემდეგ კი ეს აზრი სხვა ავტორებმაც გაიზიარეს.

პირველი ბიბლიოგრაფიული ცნობა ათანასეს სიმბოლოს შესახებ VI სის პირველი ნახევრიდანაა შემონახული<sup>6</sup>. ვარაუდობენ, რომ ეს ძეგლი დასავლეთში უნდა იყოს შეთხზული V ს-ში ლათინურ ენაზე, საიდანაც თითქოს მოგვიანებით ითარგმნა ბერძნულად<sup>7</sup>. საბერძნეთში, ზოგიერთი მკვლევრის მტკიცებით, იგი მხოლოდ XIII საუკუნიდან გახდა ცნობილი რომის პაპის ლეგატების წყალობით<sup>8</sup>. ასეთი განცხადება, როგორც ჩვენთვის უკვე ნათელია, ათანასეს სიმბოლოს შესახებ არსებული ისტორიულ-ლიტერატურული ცნობების სიმწირეზე მეტყველებს. ევროპელ მკვლევრებს, როგორც ჩანს, ხელო არ ჰქონდათ ათანასეს სიმბოლოს ბერძნული ვერსიის უფრო ადრინდელი დამოწმება. ქართულად კი ასეთი საბუთი მოგვეპოვება – ამ თხზულების გიორგი მთაწმიდელისეული ქართული თარგმანის სახით. ამ თარგმანის არსებობა უტყუარი მოწმობაა იმისა, რომ ათანასეს სახელით წარწერილი სიმბოლო უკვე XI საუკუნეში იყო ცნობილი ბერძნულ ენაზე, საიდანაც იგი უთარგმნია გიორგის ქართულად.

ბერძნულენოვანი ვერსიის წარმოშობის საკითხის გარდა, ვფიქრობთ, საბოლოოდ გადაწყვეტილად არ უნდა ჩაითვალოს ათანასეს სიმბოლოს ფსევდოეპიგრაფიკულობაც. ის საბუთები, რომლის მიხედვითაც სხვა ავტორებს მიაკუთვნებენ აღნიშნულ თხზულებას, უფრო სუბიექტური ხასიათისაა, ვიდრე ობიექტური<sup>9</sup>.

ათანასეს ავტორობის საკითხის კვლევა ამჟამად ჩვენი ამოცანა არ არის. მაგრამ, ვფიქრობთ, „სიმბოლოს“ ქართული თარგმანის შესწავლა, ისევე, როგორც მისი სხვადასხვაენოვანი ვერსიებისა, ამ პრობლემის გადაჭრასაც შეუწყობს ხელს.

ათანასე ალექსანდრიელის სიმბოლოს გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანი განსაკუთრებით საინტერესო (და ერთგარად მოულოდნელიც) აღმოჩნდა ჩვენთვის მასში დაფიქსირებული იმ პნევმატოლოგიური დებულების გამო, რომელიც დასავლეთის (რომის) საეკლესიო დოგმატის თავისებურებადაა მიჩნეული (აღმოსავლურის საპირისიოროდ) – სულ იწმიდის გამო ს კლ ა მამის ა და ძისაგან.

ერთადერთი ხელნაწერი, რომელშიც მითითებულია ათანასე ალექსანდრიელის სიმბოლოს ქართულ ენაზე მთარგმნელი, – ესაა სამოციქულოს გიორგისეული რედაქციის ნუსხა A 584 – XI საუკუნის ეტრატი, გადაწერილი გიორგი მთაწმიდელის „თუალით მხილველისა და ჭელით მსახური“ მოწაფის, „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების“ ავტორის გიორგი ხუცეს-

<sup>5</sup> Христианство, Энциклопедический словарь, под. ред. С. С. Аверинцева, А. Н. Мешкова, Ю. Н. Попова, т. I, М., 1993, 141.

<sup>6</sup> იქვე, 141.

<sup>7</sup> ზოგიერთი მევლევარის აზრით, თხზულების ნამდვილი ავტორი ვიგილიუს ტაფსიელი (V ს.) უნდა იყოს. იხ. Филарет, Архиепископ Черниговский и Нежинский, Историческое учение об Отцах Церкви, т. II, СПБ, 1882, 50.

<sup>8</sup> Σ. Δ. Λώλη, Σύμβολον Πίστεως, ΘΗΕ τ. 11, 'Αθήναι, 1967, 529; Филарет, Истор. учение... гл. 50

<sup>9</sup> იხ. Филарет, იქვე.

მონაზონის ხელით. გადამწერის ანდერძში (228v-229r) ხელნაწერი დათარიღებულია 1083 წლით (ქორონიკონი ტე; დასაბამითგანნი – ხქაზ).

A 584 ხელნაწერი კარგადაა ცნობილი მეცნიერებაში. ეს ნუსხა უდევს საფუძვლად სამოციქულოს წიგნთა გიორგისეული რედაქციის მეცნიერულ პუბლიკაცებს<sup>10</sup>; დაწვრილებითაა აღწერილი ილ. აბულაძის მიერ<sup>11</sup>. ათანასეს სიმბოლო („აღსარებად წმიდისა და მართლისა და უბიშოვას ქრისტეანეთა სარწმუნოებისაც“), რამდენიმე სხვა დოგმატიკურ ძეგლთან ერთად ერთვის სამოციქულოს ტექსტს, და უკავია 244v-246r გვერდები. შეიცავს 39 მუხლს, რომელთა თავები ასოები სინგურითაა გამოყოფილი. ბოლოს კი ერთვის მინაწერი: „ესე მ არ თ ლი ი ს ა ს არ წმუნო ები ი ს ა ა დ ს ა რ ე ბ ა დ პრომთა წიგნისაგან გარდმოვწერე. ვინ აღმოიკითხო, ლოცვა ყავთ გლახაკისა გიორგი გი ს ა გ ა ნ, რომელმან ესე ვთარგმანე“ (246r).

გარდა გიორგის მიერ თარგმნილი დოგმატიკური ძეგლებისა, A584-ში ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი მიქაელ სვინკელოსის „მართლისა სარწმუნოებისა წარმოთქმაცა“ შეტანილი. ყველა დანარჩენი თარგმანი რომ გიორგი მთაწმიდელისაა, საგანგებოდ მიუთითებს მნუსხველი 247r-ზე გაკეთებულ შენიშვნაში: „ესე ზემოთ მიქაელ სვინკელისა თქუმული სარწმუნოებად ნეტარისა მამისა ჩუენისა ევთვმის თარგმნილი არს და სხუად ყოველი – წმიდისა მამისა გიორგი ს ა გ ა ნ, ვითა ამას წიგნსა სწერია“.

ათანასეს სიმბოლოს ტექსტი სხვა მრავალი ხელნაწერითაცა ჩვენამდე მოღწეული, რომელთაგან უმნიშვნელოვანებია: Jer. 151,43v-47r (XI ს.); A65,167r-v (ბოლონაკლული) (1188-1210) და A 67,48r-v (XI ს.). სხვა ხელნაწერები გვიანდელია და ნაკლები მნიშვნელობისა: S269,43v-45v (1785 წ.); A627,3r-6v (1758-60 წ.); H1283,256r-257r (XVIII ს.) და სხვ.

Jer. 151-ში „სიმბოლოს“ სათაურთან მითითებულია მუხლთა რიცხვი: ၄၇၁ (=39), თუმცა მუხლები დანომრილი არაა, არამედ მხოლოდ სინგურით გამოყოფილი.

აქვე მოგვყავს გიორგი მთაწმიდელის თარგმანის ტექსტი ოთხი უძველესი ხელნაწერის მიხედვით: A 584 (A); Jer. 151 (B); A 65 (C); A 67 (D) (მუხლების ნუმერაცია შემოვიდეთ სინგურით გამოყოფილი ფრაზების აღსანიშნავად).

<sup>10</sup> საქმე მოციქულთა, ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძე, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1950; კათოლიკე ეპისტოლება ქართული ვერსიები, X-XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ქეთევან დორთქი ფანია დემიტრე გერევანი, აკადი შანიძის რედაქციით, თბ., 1956; პავლეს ეპისტოლება ქართული ვერსიები, გამოსაცემდ მოამზადეს ქორენი, ა. გ. გ. ა. ნ. დომეს დემიტრე გერევანი, და ა. ნ. ე. ლია ა. მ. ა. კადა შანიძის რედაქციით, თბ., 1974.

<sup>11</sup> საქმე მოციქულთა, გვ. 021-025.

აღსარებად წმიდისა<sup>12</sup> და უბიწოდესა ქრისტეანეთა სარწმუნოებისა, თქვემული წმიდისა<sup>13</sup> ათანასე<sup>14</sup> ალექსანდრიიელისა მუკლ-მუკლი<sup>15</sup>

1. უკუეთუ ვისმე პნებავს<sup>16</sup> ცხორებად, პირველ ყოვლისა ჯერ-არს, რათა აქუნდეს მართალი სარწმუნოებად,

2. რომელი-იგი არა თუ ვინმე განუხრწნელად და შეუგინებელად დაპმარხოს<sup>17</sup>, უეჭუელად წარწყმდეს საუკუნოდ.

3. ხოლო მართალი სარწმუნოებად ესე არს, რათა ერთსა ღმერთსა სამებით და სამებასა ერთარსებით გმისახურებდეთ<sup>18</sup>.

4. არცა შევპრევდეთ<sup>19</sup> გუამოვნებასა, არცა განგჟოფდეთ<sup>20</sup> არსებასა.

5. რამეთუ სხუად არს გუამოვნებად მამისად და სხუად არს<sup>21</sup> ძისად და სხუად არს სულისა წმიდისად<sup>22</sup>.

6. ხოლო ღმრთებად მამისა და ძისა<sup>23</sup> და სულისა წმიდისად<sup>24</sup> ერთ<sup>25</sup> არს;

7. ერთი ძლიერებად, ერთი კელმწიფებად, ერთი მეუფებად;

8. სწორი დიდებად, სწორი<sup>26</sup> დიდებულებად და საუკუნოდ.

9. ვითარი არს მამად, ეგევითარივე არს ძე<sup>27</sup>, ეგევითარივე არს სული წმიდად.

10. დაუბადებელი მამად, დაუბადებელი ძე<sup>27</sup>, დაუბადებელი სული წმიდად, არამედ არა სამნი დაუბადებელნი, არამედ ერთი დაუბადებელი.

11. ყოვლისა-მპყრობელი მამად, ყოვლისა-მპყრობელი ძე<sup>27</sup>, ყოვლისა-მპყრობელი სული წმიდად, არამედ არა სამნი ყოვლისა-მპყრობელნი, არამედ ერთი ყოვლისა-მპყრობელი.

12. საუკუნოდ მამად, საუკუნოდ ძე<sup>27</sup>, საუკუნოდ სული წმიდად, არამედ არა სამნი საუკუნენი, არამედ ერთი საუკუნოდ.

13. ყოვლად-ძლიერი მამად, ყოვლად-ძლიერი ძე<sup>27</sup>, ყოვლად-ძლიერი სული წმიდად, არამედ არა სამნი ყოვლად-ძლიერნი, არამედ ერთი ყოვლად-ძლიერი.

14. ღმერთი მამად, ღმერთი ძე<sup>27</sup>, ღმერთი სული წმიდად, არამედ არა სამნი ღმერთნი, არამედ ერთი ღმერთი.

15. უფალი მამად, უფალი ძე<sup>27</sup>, უფალი სული წმიდად, არამედ არა სამნი

<sup>12</sup> + და მართლისა B.

<sup>13</sup> წმიდისა – B.

<sup>14</sup> ათანასი B.

<sup>15</sup> მუკლ-მუკლი ] მუკლი კით B.

<sup>16</sup> პნებავს ] ენგოს B.

<sup>17</sup> დაპმარხოს ] დაიმარხოს + იგი C.

<sup>18</sup> გმისახურებდეთ BD. გმისახურებდეთ C.

<sup>19</sup> შევრევდეთ BD. შეპრევდეთ C.

<sup>20</sup> განგჟოფდეთ C.

<sup>21</sup> არს – D.

<sup>22</sup> წმიდისა AD.

<sup>23</sup> ძისად A.

<sup>24</sup> სულისა წმიდისად ] სულისად A. ~ წმიდისა სულისა D.

<sup>25</sup> ერთი A.

<sup>26</sup> სწური B.

<sup>27</sup> ძე ACD.

უფალნი, არამედ ერთი უფალი.

16. და ვითარცა თითოეულად თითოეულისა<sup>28</sup> გუამოვნებისა ღმრთად და უფლად ადსარებასა ჭეშმარიტად ქრისტეანობად<sup>29</sup> ვიტყვო,

17. ეგრეთვე სამთა ღმერთთა და სამთა უფალთა თქუმად არა თავს-ვიდებთ<sup>30</sup>, არამედ სრულიად განვიშორებთ.

18. რამეთუ მამად არავისგან არს შექმნულ, არცა დაბადებულ, არცა შობილ.

19. მც<sup>27</sup> მამისაგან მხოლოდსა არს; არა შექმნით, არცა<sup>31</sup> დაბადებით, არა-მედ შობით.

20. სული წმიდად -- მამისაგან და ძისა<sup>32</sup>; არა შექმნით, არცა დაბადებით, არცა შობით, არამედ გამოსლვით.

21. ერთი უკუე არს მამად, არა სამნი მამანი; ერთი ძც,<sup>27</sup> არა სამნი ძენი; ერთი სული წმიდად, არა სამნი სულნი წმიდანი.

22. და ამას სამებასა შინა არავინ არს პირველი გინა უკუანადსკელი; არავინ არს დიდი გინა მცირე; არამედ ყოვლითურთ სამნივე ესე გუამოვნებანი საუკუნო არიან და სწორ.

23. ესრეთ ყოვლითურთ, ვითარცა ზემო თქუმულ არს, სამებად ერთარსებით და ერთარსებად სამებით იდიდებოდენ<sup>33</sup>.

24. და რომელსაცა პნებავს ცხორებად, წმიდისა სამებისათვს ესრეთ დიდების-მეტყუელებდინ<sup>34</sup>.

25. ეგრეთვე ჯერ-არს ჩუენდა საუკუნოსა ცხორებისა<sup>35</sup> და უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტეს განკორციელებისა მტკიცე სარწმუნოებად.

26. არს უკუე მართალი სარწმუნოებად, რამთა გურწმენეს და აღვიარებდეთ, ვითარმედ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ძც<sup>27</sup> ღმრთისა<sup>36</sup>, ღმერთი და კაცი არს<sup>37</sup> სრული<sup>38</sup>.

27. ღმერთი დაუბადებელი – არსებისაგან მამისა პირველ საუკუნეთა მამისაგან შობილი; და კაცი ხილული – არსებისაგან დედისა უკუანადსკელთა უამთა ცხორებისათვს ჩუენისა<sup>39</sup> ქუეყანასა ზედა შობილი.

28. სრული ღმერთი და სრული კაცი, სულისაგან სიტყვერისა და ჭორცისაგან კაცობრივისა აგებული<sup>40</sup>.

<sup>28</sup> ოუთეულად თვთეულისა B.

<sup>29</sup> ქრისტიანობად A. ქრისტეანობად B.

<sup>30</sup> ~ არა თავს-ვიდებთ თქუმად B. თქუმად ] თქუმასა D.

<sup>31</sup> არა A.

<sup>32</sup> და ძისა – CD. + არს D.

<sup>33</sup> იდიდებოდინ D.

<sup>34</sup> დიდების-მეტყუელებდენ C.

<sup>35</sup> ცხორებისათვს B.

<sup>36</sup> ღმრთისად + არს B.

<sup>37</sup> არს – B. აქ წყდება D ხელნაწერი.

<sup>38</sup> სრულ C.

<sup>39</sup> ~ ცხორებისა ჩუენისათვს C.

<sup>40</sup> აღგებული C.

29. სწორი მამისად ღმრთებითა და უმრწველესი მამისად კაცებითა.
30. და ჭეშმარიტად არს ღმერთი და კაცი ჭეშმარიტი; არამედ არა ორნი, არამედ ერთი არს ქრისტე.
31. ხოლო ერთი ესე ქრისტე<sup>41</sup> არა შეიცვალა წორცად, არამედ ამაღლდა<sup>42</sup> ღმრთისა.
32. ყოვლითურთ არა შერევნითა ბუნებათამთა, არამედ შეერთებითა გუამოვნებისათთა.
33. რამეთუ ვითარცა სული სიტყვერი და წორცნი ერთი კაცი არს, ეგრეთვე ღმერთი და კაცი ერთი ქრისტე არს.
34. რომელმან იგნო ჩუენისა ცხორებისათვს და შთაკადა ჯოჯონეთად და აღდგა მკუდრეთით.
35. და ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯუენით ღმრთისა და<sup>43</sup> მამისა ყოვლისა-მპყრობელისა.
36. ვინავ-იგი კუალად მოსლვად არს განშჯად ცხოველთა და მკუდართა.
37. რომლისა მოსლვასა ყოველნი კაცნი აღდგენ<sup>44</sup> წორცითა სიტყვსა მიცემად საქმეთა მათთათვს<sup>45</sup>.
38. და რომელთა კეთილი ექმნას, წარვიდენ ცხორებასა საუკუნესა, და რომელთა ბოროტი – ცეცხლსა საუკუნესა.
39. ესე უკუე არს მართალი სარწმუნოება, რომელი-ესე არა თუ ვინმე უბიწოდ და წმიდად და შეუგინებელად დაიცვას, ბრძანებისაებრ წმიდათა მოციქულთადასა, ცხორებად<sup>46</sup> ვერ ძალ-უც.

როგორც აღვნიშნეთ, ათანასეს სიმბოლო ბერძნულ ენაზე ოთხი რედაქციით (ოთხი ფორმულით) არის ცნობილი. შედარებამ გვიჩვენა, რომ გიორგი მთაწმიდელის თარგმანი თავიდან ბოლომდე არც ერთ რედაქციას სიტყვასიტყვით არ მისდევს. არის ცალკეული მუხლები, რომლებიც ოთხივე ფორმულაში საესტი ერთნაირია ან უმნიშვნელოდ განსხვავებული (6, 9, 14, 21, 26, 29, 30, 33, 36, 37). ამ შემთხვევებში გიორგის თარგმანიც მათი იდენტურია. სხვა მუხლებში კი, რომლებშიც ბერძნულ რედაქციებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობებია, გიორგის თარგმანი ხან ერთ ფორმულას ეთანხმება, ხან მეორეს; ხანდახან კი, უფრო იშვიათად, ყველა რედაქციისაგან განსხვავებულ ვარიანტს გვიჩვენებს.

1) ყველაზე ხშირად გიორგი მთაწმიდელის თარგმანი IV ფორმულასთან ავლენს ნათესაობას. ასეთია, მაგალითად, 8-9 მუხლები:

„ერთი ძლიერებად, ერთი გელმწიფებად, ერთი მეუფებად; სწორი დიდებად, სწორი ღიდებულებად და საუკუნოდ“. შედრ:

Ἐν τὸ κράτος, μία ἔξουσία, μία βασιλεία, ἵση ἡ δόξα, ἵση ἡ μεγαλωσύνη καὶ αἰώνιος (IV ფორმ.).

<sup>41</sup> ქრისტ B.

<sup>42</sup> ამაღლდა + ნათელად B.

<sup>43</sup> და – B.

<sup>44</sup> ~ აღდგენ ყოველნი კაცნი B.

<sup>45</sup> აქ წყდება C ხელნაწერი.

<sup>46</sup> ცხორებად B.

სხვა რედაქციების ტექსტი შემოკლებული და სახეცვლილია:

„ისη δόξα, συνδιαιωνίζουσα ἡ μεγαλειότης (I ფორმ.)

„ისη δόξα, συναίδιος μεγαλειότης (II ფორმ.)

μία ἔστιν ἡ δόξα, συναίδιος ἡ μεγαλειότης (III ფორმ.)

გიორგისეული თარგმანის მე-11 მუხლის „ყოვლისა-მპყრობელის“ შესატყვისი მხოლოდ IV ფორმულაში გვაქვს: Παντοκράτωρ. სხვაგანაა: ომეτρος – განუზომელი (I ფორმ.); ᄀπειρος – უსაზღვრო, განუსაზღვრელი, „მოუგონებელი“ (შეუცნობელი) (II ფორმ.); ሰკატალეტი – მიუწვდომელი (III ფორმ.). მსგავსი შენაცვლება მე-12 მუხლშიც მეორდება, რადგან მე-11 მუხლის მეორე ნახევარი, ომელშიც კვლავ მეორდება Παντοκράτωρი, I, II და III რედაქციებში მე-12 მუხლის ბოლოშიც გადატანილი, და ეს რედაქციები ამითაც სხვაობენ IV რედაქციისა და გიორგისეული თარგმანისაგან.

სამ მუხლში (1, 3, 39) „მართალი სარწმუნოების“ შესატყვისი მხოლოდ IV ფორმულაში გვაქვს: ἡ ὁρθόδοξος πίστις. სხვაგან (I, II, III ფორმულებში) ამის ნაცვლად წერია: ἡ καθολική πίστις („საყოველთაო სარწმუნოება“). 26-ე მუხლში „მართალ სარწმუნოებას“, IV-სთან ერთად, I და II ფორმულებიც აღნიშნავენ: ἡ ὁρθὴ πίστις; II ფორმულა კი კვლავ განსხვავებულია – მებარა მისთვის („მტკიცე სარწმუნოება“).

30-ე მუხლის „ჰეშმარიტი“ (ალეთის) მხოლოდ IV ფორმულაში დასტურდება, სხვაგან – გამოტოვებულია.

32-ე მუხლში გიორგისეული თარგმანი კვლავ უფრო IV ფორმულას ენათესავება (ამისათვის კაὶ ᄀფθορον – შეუგინებელად და განუხერწნელად), სხვა ფორმულები კი რამდენადმე განსხვავებულ ვარიანტებს წარმოადგენენ: უყით კაὶ ᄀმამოν – ჯანსაღად და უმწიკვლოდ (I ფორმ.); ሰკერაიან კაὶ ሰპარატრასტონ – შეურევნელად და დაუმსხვრევლად (II ფორმ.); ეს ეკასტოს სავან კაὶ ᄀმამηთონ – ყოვლითა კრძალულებითა და უმწიკვლოდ (III ფორმ.).

მსგავსი მდგომარეობაა რამდენიმე სხვა მუხლშიც: 6, 10, 16, 17, 18, 22, 31, 32, 33.

2) რამდენიმე მუხლში შებრუნებული ვითარება გვაქვს: გიორგი მთაწმიდელის თარგმანი სხვაობს სწორედ IV ფორმულისაგან და ეთანხმება ყველა დანარჩენ (I, II, III) ფორმულას. ასეთია, მაგალითთად, მე-19 მუხლი: „δε მამისაგან მხოლოდ მარტივ არს“. „მხოლოდ მარტივ არს“ ყველა ფორმულაში წერია (Ο Γίδες ἀπὸ μόνου τοῦ Πατρός), გარდა IV-ისა, სადაც ვგითხულობთ: ‘Ο Γίδες ἀπὸ τοῦ Πατρός ესτιν...

ასევე, მე-20 მუხლის „და ძისა“ („სული წმიდად მამისაგან და ძისა“) წერია მხოლოდ II-III ფორმულებში:

Τὸ Πνεῦμα τὸ ἄγιον ἀπὸ τοῦ Πατρὸς καὶ τοῦ Γίοῦ...,

I-სა და IV-ში – არა: Τὸ Πνεῦμα τὸ ἄγιον ἀπὸ τοῦ Πατρὸς ესτιν...

25-ე მუხლის „საუკუნო ცხორება“ იხსენიება კვლავ I, II და III ფორმულებში (პრὸς τὴν αἰώνιον σωτηρίαν), IV-ში კი გამოტოვებულია.

23-ე მუხლის ფრაზა – „ვითარცა ზემო თქმულ არს“ – სამივე ფორმულაში გვაქვს (I, II, III): ას პრიერეთა. IV ფორმულაში კი 22-ე მუხლშია

გადანაცვლებული.

გარდა ამისა, ზოგიერთი მუხლი IV ფორმულაში გავრცობილია ყველა დანარჩენ ფორმულასა და გიორგი მთაწმიდელის თარგმანთან შედარებით. მაგ., 37-ე მუხლი ყველა ფორმულაში ერთნაირია, მხოლოდ IV-ში ემატება: ის პ' ასტის კეკიუმუნენი („საუკუნითგან დაძინებულნი“). 24-ე მუხლში ემატება: ცაიპისი კა ბისუსი – „ცხოველმყოფელისა და ერთარსისა“. ასევე, გავრცობილია IV ფორმულის სხვა რამდენიმე მუხლიც: 27, 28, 34, 38.

3) ბერძნულ რედაქციით სხვადასხვაობისას ქართული თარგმანი თითო-ოროლა შემთხვევაში I და III ფორმულის ვარიანტებს, ეთანხმება. მაგალითად, 25-ე მუხლის „მტკიცე სარწმუნოების“ შესატყვისი მხოლოდ I ფორმულაში გვაქვს: მებარა მისტერი – II ფორმ; ბრთავა მისტერი – III; ბრთავა მისტერი – IV); 35-ე მუხლის „ყოვლისა-მცყოლებლი“ მხოლოდ I-სა და III ფორმულაში წერია (Пантоκράტოρ); მის შესატყვისად II ფორმულაში „ყოვლადდღიური“ გვაქვს (Панτοδύναμος), IV-ში კი სრულიად გამოტოვებულია. ასეთივე ვითარებაა 28-ე და 38-ე მუხლებშიც.

4) ქართული თარგმანის ზოგიერთ მუხლში სხვადასხვა ფორმულის პარალელები დასტურდება. სახელდობრ, 24-ე მუხლში გვაქვს ერთი ფრაზა („და ომელსაცა პნებავს ცხორებად“), ომდის ფარდი I, II და III ფორმულებში არის (ტ ზელას ის სამართლია – I; ო ბიულომენის სამართლია – II, III), ხოლო IV-ში სრულიად არა; სამაგიეროდ, ამავე მუხლის „დიდების-მეტყუელებდინ“ მხოლოდ IV ფორმულაში გვაქვს (ბიჯაცეთა), სხვაგან კი მის ნაცვლად ფიონერთა (II, III) და სიერთა (I) წერია (= „იგონებდინ“). ქართული თარგმანი სხვადასხვა ფორმულებთან პოულობს პარალელს მე4, მე5, მე12, მე13 და სხვა მუხლებშიც.

5) დაბოლოს, არის ორიოდე შემთხვევა, როდესაც ქართული თარგმანი არც ერთი ფორმულის ტექსტს ზუსტად არ შეესატყვისება:

26-ე მუხლის „სრული“ („იესუ ქრისტე ეგ ღმრთისამ, ღმერთი და კაცი არს სრული“) არც ერთ ბერძნულ რედაქციაში არ ჩანს. ასევე, 39-ე მუხლის ფრაზა – „უბიწოდ და წმიდად და შეუგინებელად“ – სხვაგარადა ბერძნულ რედაქციებში: მისტერი კა მებარა (სარწმუნოდ და მტკიცედ).

ამრიგად, გიორგი მთაწმიდელის თარგმანი შესრულებულია ათანასე ალექსანდრიელის „სიმბოლოს“ ისეთი ბერძნული რედაქციიდან, რომელიც დღეისათვის ცნობილ არც ერთ რედაქციას არ ემთხვეოდა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქართულ თარგმანში დაცული პნევმატოლოგიური ფორმულა: „სული წმიდად – მამისაგან და ძისა; არა შექმნით, არცა დაბადებით, არცა შობით, არამედ გამოსლვით“.

სულიწმიდის გამოსვლა მა მისა და ძისაგან – მიჩნეულია დასაელეთის (რომის) ეკლესიის უმთავრეს დოგმატურ თავისებურებად, რაც მას აღმოსავლეთის (მართლმადიდებელ) ეკლესიას უპირისპირებს. ეს იდეა პირველად დადასტურებულია ტოლედოს 547 წლის საეკლესიო კრებაზე<sup>47</sup>, რის შემდეგაც იგი ფართოდ გავრცელდა დასავლეთის ეკლესიაში. ნიკეა-

<sup>47</sup> B. K. Στεφανίδου, 'Εκκλησιაστική Ιστορία, 1998, 'Αθηναι, 343-344.

კონსტანტინოპოლის სიმბოლოს მიხედვით, ოომელსაც აღმოსავლეთის ჰკლესია სარწმუნოების დოგმატურ საფუძვლად აღიარებს დღემდე<sup>48</sup>, სულიშიდა „მამისაგან გამოვალს“ (შდრ. იოვანე 15,26). ეს განსხვავება იყო ერთ-ერთი საბაბი, რამაც ქრისტიანული ჰკლესია 1054 წლის განხეთქილებამდე მიიყვანა. დროთა განმავლობაში კი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ჰკლესიებს შორის გაჩენილი ნაარალი დიდ უფსკრულად გადაიქცა.

უდიდეს ქართველ სწავლულ ღმრთისმეტყველს გიორგი მთაწმიდელს მოღვაწეობა მოუხდა დიდი სქიზმის უამს (+1065 წ.), და, შეუძლებელია, მისდამი გულგრილი დარჩენილიყო.

დიდი მთაწმიდელი მოღვრის ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ იგი, ოორც სარწმუნოების სიწმიდისა და უბიწოების დამცველი ბერი, არაერთხელ გამოსულა სხვადასხვა მწვალებლობის განმაქიქებელი სიტყვით და მრავალი დოგმატიკური თხზულებაც უთარგმნია. მაგრამ, ზოგიერთი თანამედროვე საეკლესიო მოღვაწისაგან განსხვავებით, რომის ეკლესიის აღმსარებლობის ჭეშმარიტებაში ეჭვი არასოდეს შეუტანია; პირიქით, ისტორიულად წმინდა და მწვალებლობისაგან დაცულ სულიერ ოაზისად წარმოედგინა იგი<sup>49</sup>. მაშასადამე, ის დოგმატიკური კამათი, რაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის იყო აღმრცული, გიორგი მთაწმიდელს უსაფუძლოდ მიაჩნდა, და ამით ეკლესიის ერთიანობის დამცველად გამოდიოდა.

სახელდღობრ, ეკლესიათა განყოფის ერთ-ერთ უმთავრეს საბაბს – შექარისტიაში სამსხვერპლო პურისა და ლვინის სხვადასხვაგარობას (აღმოსავლეთის ეკლესიაში – გაფუჟებული პური და წყალგარეული ლვინი; დასავლეთის ეკლესიაში კი – „უცომო“ და „ურწყოვ“, ე. ი. უფუარი პური და წყალგარეული ლვინო) გიორგი მთაწმიდელი არარად თვლის: „არარად არს ამას შინა განყოფილება, ოდენ სარწმუნოებად მართალი იყოს“, – აცხადებს იგი მეცე კონსტანტინე ლუკას წინაშე<sup>50</sup>.

მეორე საბუთო, რომელიც მოწმობს გიორგი მთაწმიდელის შემწყნარებლობას რომის ეკლესიის აღმსარებლობის მიმართ, – ესაა ათანასე ალექსანდრიელის სიმბოლო (მასში დაცული დასავლური პნევმატოლოგიური ფორმულით), რომელიც მას ქართულად უთარგმნია.

ამ თხზულების თარგმნას პოლემიკური დანიშნულება არ უნდა ჰქონდეს (რომის ეკლესიის წინააღმდეგ), რადგან, ჯერ ერთი, მთარგმნელი მას „მართლისა სარწმუნოებისა აღსარებად“ მოისხიებს თხზულების ბოლოში დართულ ანდერმში<sup>51</sup>; და მეორეც: თუ მთარგმნელს რომის ეკლესიის ცდომილების წარმოჩენა სურდა, რომელიმე დასავლელი აგტორის ანალოგიური თხზულება უნდა ეთარგმნა და ხაზი გაესვა აღმოსავლურ და დასავლურ მრწამსთა შორის სხვადასხვაობისათვის.

<sup>48</sup> ნიკა-კონსტანტინოპოლის სიმბოლოს საბოლოოდ დაზუსტებული ქართული რედაქციაც გიორგი მთაწმიდელს გამოუშეშავებია. იხ. ქ. ქ. ე. ე. ლ. ი. მ. ე., მეცე ქართული ლიტ. ისტ., ტ. I, 1980, 225.

<sup>49</sup> ბიორგი შ. ცირკ, ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა, გამოსაცემად მომზადა, გამოკვლევა და დაქტიური დაურთოვანებისა განვითარება, თბ., 1994, 238.

<sup>50</sup> ესე მართლისა სარწმუნოებისა და სარწმინდებისა განხეთქილების შემთხვევაში მართა წიგნისაგან გარდემოუწყერების შესახებ (A584,246r).

„სიმბოლოს“ ავტორად ათანასეს მიჩნევით მთარგმნელი ხაზს უსგამს, რომ მასში გადმოცემული დოგმატური მოძღვრება (მათ შორის – სულიწმოდის გამომავლობა მამისა და მისაგან) მარტო დასავლეთის ეკლესიაში კი არ ყოფილა გარეცელებული, არამედ აღმოსავლეთის ეკლესიაშიც, რომლის ერთ-ერთი უდიდესი მნათობია წმიდა ათანასე.

მნელი სათქმელია, რას ნიშანებს გიორგი მთაწმიდელის ანდერძში მოხსენიებული „პრომთა წიგნი“; უშუალოდ დათინურიდან თარგმნა ქართველმა მთარგმნელმა აღნიშნული ძეგლი, თუ ბერძნულიდან, რომელიც თავის მხრივ ლათინურიდან იყო გადმოთარგმნილი(?)

თუნდაც ნამდვილად ლათინურიდან იყოს ნათარგმნი. ათანასეს „სიმბოლო“, მარტო ეს ფაქტი ვერ გამოდგება საბუთად ათანასეს ავტორობის უარყოფისათვის, რადგან წმიდა მღვდელომთავარმა დეკნულების ჟამს რამდენიმე წელიწადი დასავლეთში გაატარა<sup>52</sup>, და გამორიცხული არაა, რომ ზოგიერთი თხზულება ლათინურადაც დაეწერა.

სულიწმიდის გამოსვლა მაშისაგან და ძისა დაფიქსირებულია გიორგი მთაწმიდელის თარგმანის უძველეს ნუსხებში – A584,245r და Jer.151,45r (ორივე – XI ს-ისა).

A584-ის აშიაზე „და ძისა“-ს გასწვრივ გვიანდელი ხელით მხედრულად მიწერილია: „არა და ძისა“. როგორც ჩანს, ეს მინაწერი გაუკეთებია XVIII-XIX სს-ის რომელილაც ანტიკათოლიკე მკითხველს, რომლისთვისაც სულიწმიდის გამოსვლა მამისა და ძისაგან – მძიმე დოგმატური ცდომილუბაა.

უფრო რადიკალურად მოქცეულა A65-ის რედაქტორი. მართალია, გადამწერს (XII ს.) ათანასეს თხზულებაში თვედაპირველად „მამისაგან და ძისა“ დაუწერია (167r), მაგრამ გვიანდელ რედაქტორს „და ძისა“ სრულიად ამოუშლია და ხელნაწერის აშიაზე რაღაც სამ-სტრიქონის შენიშვნაც გაუკეთებია. ეს შენიშვნა ამჟამად საგულდაგულოდაა წაშლილი მელნით, და ვერ იქითხება. ტექსტში კი „და ძისა“-ს ამოშლის შედეგად თეთრი ლაქაა დარჩენილი.

გვიანდელი ხელნაწერების მნუსხელო (XVIII-XIX სს.) „და ძისა“ უკვე სრულიად აღარ შეუტანიათ ტექსტში; აშკარაა, ანტიკათოლიკური მოსაზრებით. ერთ-ერთ მნუსხელს კი (მზეჭაბუკ ორბელიანს) ამ თხზულების ახალი რედაქცია გამოუმუშავებია (A627,3r-6v)<sup>53</sup>.

<sup>52</sup> ი. გ. В. Флоровский, Восточные отцы IV века, Paris, 1990, 27.

<sup>53</sup> A627-ში შეტანილია სულხან-ხაბა თრდელიანის „სარწმუნოების წიგნი“ („საქრისტენით მოძღვრება, პირველად სასწავლო ყრმათოთვის მართლისა და უბიწოდას სჯულისა“). ხელნაწერზე დართული ანდერძიდან ირკვევა (78r), რომ მზეჭაბუკ თრბელიანს მართლმადიდებლურ მოძღვრებასთან შეთანხმების მოზნით გადაუმუშავების ბიძაშისის – სულხან-ხაბას ეს ნაშრომი. როგორც ჩანს, ათანასეს სიმბოლო სულხან-ხაბას შეირცე იყო დართული „სარწმუნოების

**T. KOTSCHLAMASASCHVILI, A. GAMBASCHIDZE**  
**DIE ALTGEORGISCHE ÜBERSETZUNG DES SYMBOLS VON**  
**ATHANASIUS VON ALEXANDRIEN**  
**ZUSAMMENFASSUNG**

Im Beitrag wird die altgeorgische Übersetzung des Symbols von Athanasius von Alexandrien (Quicunque) zum ersten Mal publiziert, die dem berühmten georgischen Theologen und Übersetzer, der großen Kapazität der georgischen orthodoxen Kirche Georg von Athos gehört.

Es ist interessant, daß in der georgischen Übersetzung die west-christliche (katholische) pneumatische Formel dieses Symbols, die in einigen griechischen Redaktionen nachgewiesen sind, wonach der Heilige Geist vom Vater und Sohn ausgeht, unverändert übernommen wird.

---

წიგნზე“. როდესაც ბიძის ნაშრომის რედაქტირებაზე მუშაობდა, მასზე დართულ ათანასეს თხზულებასაც შევხო მზეჭაბუკ თრბელიანის რედაქტორული ხელი.